2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში პარტნიორი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი კვლევითი სტაჟირების სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებსა და სამეცნიერო ხარისხის მქონდე თსუ-ის პერსონალს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში კვლევითი სტაჟირების სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებსა და სამეცნიერო ხარისხის მქონდე თსუ-ის პერსონალს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ელექტრონულ სააპლიკაციო სისტემაში (mobility.tsu.ge) საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი და თსუ-ს შესარჩევი კომისია.

3. კანდიდატების შერჩევა და კომისიის შეფასება

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის წარმომადგენელთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები:

1. GPA (მრავლდება 10ზე): 25-40 ქულა
2. მოტივაცია: 0-10 ქულა
3. ზეპირი პრეზენტაცია: 0-10 ქულა

სამეცნიერო ხარისხის მქონე თუს-ის პერსონალი:

1. სამუშაო გეგმა: 0-10 ქულა
2. მოტივაცია: 0-10 ქულა
3. ზეპირი პრეზენტაცია: 0-10 ქულა

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენლისა და თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.